საიდ. N81791/03

IR1242511

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №23-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კევლიშვილის მდივნობით, განიხილა კომპანიის „ბიოფარმა“ (BIOFARMA) N23-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 9 თებერვლის N308/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „NILOPROL НИЛОПРРОЛ“ (საიდ. N81791/03, IR1242511) საქართველოში

დაცვის მინიჭების თაობაზე კომპანიის „ვორლდ მედისინე ილაკ სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირკეთი“ (WORLD MEDICINE İLAÇ SANAYİ VE TİCARET ANONIM ŞİRKETİ) სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აპელანტი კომპანია „ბიოფარმა“ (BIOFARMA) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის აზრით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „NILOPROL НИЛОПРРОЛ“ (საიდ. N81791/03, IR1242511) არ ექვემდებარება საქართველოში დაცვას საქონლის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის ჩამონათვალისათვის, ვინაიდან იგი მსგავსია საქართველოში უფრო ადრინდელი პრიორიტეტით რეგისტრირებული და დაცული სასაქონლო ნიშნებისა „NOLIPREL“ (რეგ. N10558, რეგ. თარიღი 26.08.1998) და „НОЛИПРЕЛ“ (IR716431, რეგ. თარიღი 17.06.1997), რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

აპელანტის განმარტებით, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები ფანტაზიურია და მათ არ აქვთ რაიმე აზრობრივი მნიშვნელობა. შესაბამისად, ნიშნები ამ კრიტერიუმით მსგავსია.

აპელანტის პოზიციით, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალური თვალსაზრისით. ნიშნები შესრულებულია ჰორიზონტალურად, ერთნაირი თანწყობით, სტანდარტული ასომთავრული ლათინური ასოებით და კირილიცაზე. აღნიშნული ზრდის სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში

შეყვანის შესაძლებლობას, ვინაიდან მხედველობითი აღქმისას, მომხმარებელში პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ნიშნების სიტყვიერი ნაწილების მსგავსი ელემენტები. დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია მსგავსი შრიფტით და ანბანით.

აპელანტის განმარტებით, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით. ნიშნებში ასოთა რაოდენობა თანაბარია. როგორც სადავო, ისე რეგისტრირებული ნიშნები შედგება რვა ასოსაგან, ამათგან ნიშნებში მეორდება თანხმოვნები: „N“, „L“, „P“, „R“ და „H“, „Л“, „П“, „P“, „Л“. სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები შეიცავს ორ იდენტურ ხმოვანს „O“ და „I“, რომლებიც ნიშნებში წარმოდგენილია ადგილშენაცვლებით - „NOLIPR“ და „NILOPR“. სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ბოლო ნაწილებში არსებული ხმოვნები „O“ და „E“ ნიშნებს ვერ ანიჭებს საკმარის განმასხვავებლობას.

აპელანტის განმარტებით, ვინაიდან სადავო და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია სემანტიკური, ფონეტიკური და ვიზუალური თვალსაზრისით, დიდია ალბათობა, რომ მომხმარებელს არამარტო აერევა ნიშნებით მონიშნული საქონელი, არამედ სადავო სასაქონლო ნიშანს დაუკავშირებს ადრინდელი პრიორიტეტის მქონე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს და სადავო სასაქონლო ნიშანს „NILOPROL НИЛОПРРОЛ“ (საიდ. N81791/03, IR1242511) აღიქვამს, როგორც კომპანიის „ბიოფარმა“ (BIOFARMA) კუთვნილ სასაქონლო ნიშანს.

აპელანტის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი სრულად არ მოიცავს სადავო სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, ნიშნებით მონიშნული საქონლის რეალიზაციის ადგილი და მომხმარებელი ერთი და იგივეა, რაც ზრდის ნიშნებს შორის აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 9 თებერვლის N308/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „NILOPROL НИЛОПРРОЛ“ (საიდ. N81791/03, IR1242511) საქართველოში დაცვის მინიჭების თაობაზე კომპანიის „ვორლდ მედისინე ილაკ სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირკეთი“ (WORLD MEDICINE İLAÇ SANAYİ VE TİCARET ANONIM ŞİRKETİ) სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. ამასთან, ნიშნების შედარებისას მხედველობაში მიიღება ნიშნის დაცვისუნარიანი და დომინანტი ელემენტები.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „NILOPROL НИЛОПРРОЛ“ (საიდ. N81791/03, IR1242511) და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები: „NOLIPREL“ (რეგ. N10558, რეგ. თარიღი 26.08.1998) და „НОЛИПРЕЛ“ (IR716431, რეგ. თარიღი 17.06.1997) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონტეკური თვალსაზრისით.

სადავო სასაქონლო ნიშანი „NILOPROL НИЛОПРРОЛ“ (საიდ. N81791/03, IR1242511) შედგება ორი სიტყვიერი ელემენტისაგან. პირველი სიტყვიერი ელემენტი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით, ხოლო მეორე სიტყვიერი ელემენტი კირილიცაზე.

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „NOLIPREL“ (რეგ. N10558, რეგ. თარიღი 26.08.1998) შესრულებულია ასევე, სტანდარტული ლათინური ანბანით, ასომთავრულად. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „НОЛИПРЕЛ“ (IR716431, რეგ. თარიღი 17.06.1997) შესრულებულია კირილიცაზე, სტანდარტული ასომთავრული ასოებით.

სადავო სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული ელემენტი და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „NOLIPREL“ შედგება რვა ასოსაგან. მათში მსგავსია თანხმოვნები „N“, „L“, „P“, „R“, „L“. ამასთან, ორივე ნიშანი შედგება სამი მარცვლისაგან. ნიშნებს შორის განსხვავებას წარმოადგენს სადავო სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული ნაწილში ხმოვნების „O“, „I“, „E“ განსხვავებული განლაგება, რაც ნიშნებს ვერ ანიჭებს საკმარის განმასხვავებლობას. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია სადავო სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული ნაწილის ბოლო ხმოვანი და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „NOLIPREL“ ბოლო ხმოვანი, აღნიშნული განსხვავება ნიშნებს ვერ ანიჭებს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან საერთო ვიზუალური შთაბეჭდილებით ნიშნები აღრევამდე მსგავსია.

სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „NOLIPREL“ მსგავსია ასევე, ფონეტიკურად, ვინაიდან სადავო სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვიერი ელემენტი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ნილოპროლ“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ნოლიპრელ“.

სადავო სასაქონლო ნიშანის მეორე სიტყვიერი ელემენტი და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „НОЛИПРЕЛ“ (IR716431, რეგ. თარიღი 17.06.1997) მსგავსია ვიზუალური თვალსაზრისით. ორივე მათგანი შესრულებულია კირილიცაზე, სტანდარტული ასომთავრული ასოებით. სადავო და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებში ხმოვნების განსხვავებული განლაგება მათ ვერ ანიჭებს საკმარის ვიზუალურ განსხვავებას.

სადავო სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვიერი ელემენტი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „НОЛИПРЕЛ“ აღრევამდე მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან სადავო სასაქონლო ნიშანის მეორე სიტყვიერი ელემენტი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ნილოპროლ“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ნოლიპრელ“.

მსგავსია ასევე, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი.

კოლეგიას მიაჩნია, რომ აღრევამდე მსგავსია სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ნიშნები ახდენენ მომხმარებელზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „NILOPROL НИЛОПРРОЛ“ (საიდ. N81791/03, IR1242511) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბიოფარმა“ (BIOFARMA) N23-03/16 სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 9 თებერვლის N308/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე